


# სილაბუსი

| | |
|---|---|
| კურსის დასახელება | ტექნიკური ინგლისური ენის კურსი: ‘‘English for information technology 1” |
| ლექციების რაოდენობა | 24 ლექცია |
| ლექციის ხანგრძლივობა | 1 საათი და 40 წუთი |
| ფორმატი | ონლაინ |
| კურსის მოკლე აღწერა | ‘‘English for information technology 1“ არის პროფესიული მიზნებისთვის განკუთვნილი ინგლისური ენის კურსი მათთვის, ვისაც სურს დაეუფლოს და აიმაღლოს კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი ენობრივი კომპეტენცია, რაც მათ მისცემს პროფესიულ სიტუაციებში უფრო ეფექტურად კომუნიკაციის საშუალებას. ტექნიკური ინგლისური ენის კურსის მასალის შესწავლა მსმენელს საშუალებას მისცემს, საუბრისა თუ წერის დროს გამოიყენოს საქმიან სიტუაციებში აუცილებელი და მრავალფეროვანი ტერმინოლოგია და ლექსიკა. |
| კომპეტენციები | სასწავლო კურსი შეესაბამება ენების საერთო ევროპული სარეფერენციო ჩარჩოს (CEFR) A1-A2 დონეებს და მოიცავს ტექნიკური ინგლისურისთვის დამახასიათებელ ძირითად ლინგვისტურ ნიშნებს: |

| | |
|---|---|
| | • ტექნიკური ინგლისურისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია.<br>• ტექნოლოგიების კონტექსტისთვის დამახასიათებელი დისკურსი, რადგანაც მოცემული სფერო ლექსიკას მთლიანობაში თავისებური კოდიფიცირებული სტრუქტურებით გვაწოდებს.<br>მსმენელებს შეთავაზებულ მასალაზე მუშაობისას განუვითარდებათ:<br>• ენის ოთხივე (კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა) უნარი ტექნოლოგიების კონტექსტში შესაბამის დონეზე.<br>• დარგობრივი ტექსტების ინგლისურ ენაზე წაკითხვისა და ანალიზის უნარი.<br>• მოსმენისა და ანალიზის სტრატეგიები და მეთოდები.<br>• აზრების ლოგიკურად გადაბმისა და მსჯელობის უნარი.<br>• ინგლისურ ენაზე არსებული დარგობრივი მასალის დამუშავების, სინთეზისა და კრიტიკული ანალიზის უნარები. |

| | |
|---|---|
| ლექტორის სახელი, გვარი | ქეთევან კალანდაძე |
| ელ.ფოსტა | Ketevan.kalandadze@btu.edu.ge |
| მოკლე ბიოგრაფია | ასოცირებული პროფესორი, კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ სერტიფიცირებული (CELTA) ინგლისური ენის მასწავლებელი და ბრიტანეთის საბჭოსა და საქართველოს მასწავლებელთა ასოციაციის მიერ აკრედიტებული ტრენერი. 2017 წლიდან მუშაობს ბიზნესისა და ტექნოლოგი უნივერსიტეტში მოწვეულ ლექტორად.<br>ასევე, არის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი. მჭიდრო თანამშრომლობს ბრიტანეთის საბჭოსთან, იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის აკადემიუ მენეჯერი. აქვს განათლების სფეროში მუშაობის 35-წლიანი გამოცდილება. ავტორია მრავალი ტრენინგ-მოდულისა და |

| | |
|---|---|
| | აქტიურად არის ჩართული საქართველოში ინგლისური ენის მასწავლებელთათვის ტრენინგების, ვორკშოფებისა და სემინარების მომზადება-ჩატარებაში. იგი თანამშრომლობდა ისეთ<br>საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიც არის: ბრიტანეთის საბჭო, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, მშვიდობის კორპუსი, ღია საზოგადოების ფონდი და ევრო-კავშირი. |